ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

29 (9969) • 9 agvisto • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

რუსეთ-საქართველოს ომის 4 წლისთავზე

გაზეთი „ალიონი“

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში დარუპული ქართველი გმირების პატივსაცემად, 6 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით ხსოვნის კვირეული იმართება.

კვირეულის ორგანიზატორები არიან ფონდი „წითელი ყაყაჩო“ და გაზეთი „პრაიმ ტაიმი“.

8 აგვისტოს, ქ. ოზურგეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ომის ვეტერანები, საჯარო მოხელეები და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მივიდნენ. მათ გვირგვინებით შეამკეს საბრძოლო დიდების მემორიალი და ზაზა დამენიას საფლავი.

— დღეს ვიხსენებთ ქართველ მებრზოლებს, რომლებმაც თავი გასწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას. მათი თავდადება სამაგალითოა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის—აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა.

მდუმარე აქცია მემორიალთან

8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის 4 წლისთავზე, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მდუმარე აქცია მოაწყო. მათი ოფისიდან „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულმა ფრთამ მსვლელობა გამართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალამდე. შემდეგ კი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინებით შეამკეს საბრძოლო დიდების მემორიალი და ზაზა დამენიას საფლავი, შემდეგ კი ეკლესიაში სანთლები აანთეს.

ქრისტიან-დემოკრატების აქცია ოზურგეთში

გუშინ, საღამოს საქართველოს ქრისტიან-დემოკრატებმა ოზურგეთის ცენტრალურსტადიონზე ფართომასშტაბიანი აქცია გამართეს. პირველი სიტყვა ქრისტიან-დემოკრატების ადგილობრივმა ლიდერმა კახა ღლონტმა წარმოთქვა.

—ვიცი რას ნიშნავს აგვისტოს მძიმე დღეები. პუტინმა აღიარა, რომ მან მოაწერა ხელი იმ ბრძანებას, რასაც რუსული ძალების საქართველოსი შემოჭრა მოჰყვა. გაუმართლებელია ზოგიერთი პოლიტიკოსების მიერ ამ თემაზე გაკეთებული განცხადებები. საქართველო ამ ომში იყო მსხვერპლი და არა აგრესორი.—განაცხადა თავის გამოსვლაში პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ.

—ქრისტიან-დემოკრატები საქართველოს პოლიტიკის ჯვაროსნები ვართ. ჩვენი მოძრაობის სიმბოლო ფარი და მახვილია. ეკლესია არის საქართველოს ხერხემალი., ფარი და მახვილი საქართველოს გაერთიანებაში. — თქვა გიორგი ახვლედიანმა.

ემოციური იყო ინგა გრიგოლიას გამოსვლაც. მან გურულებს მათი პარტიის თანადგომისკენ მოუწოდა.

მიუხედავად წვიმისა, თარგამაძის გუნდის მოსასმენად სტადიონზე 3 ათასამდე აქტივისტი შეიკრიბა გურიიდან და მეზობელი რეგიონებიდან.

შვილებს—განათლება: მშობლებს დასაქმება; პენსიონერებს დაფასება!— ეს მესიჯი დაუტოვეს

ვისია ბახმარო?

ნუგზარ ასათიანი

მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ კურორტი ბახმარო მხოლოდ „ნაციონალური ელიტის“ კურორტი გახდება, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ბახმარო კვლავ გურულთა მთავარი კურორტი იქნება.

ნაციონალური არხებით და რეგიონის ხელმძღვანელების პიარ-აქციების მიხედვით ვფიქრობდი, რომ ბახმაროში მართლაც „სასწაული“ ხდებოდა, მაგრამ..

წელს ბახმაროში დამსვენებელთა შედარებით მცირე ნაკადია, რაც გურიაში სოციალური ფონის კიდევ უფრო გაუარესებით უნდა აიხსნას.

— წყალი და კანალიზაცია კვლავ მოუწესრიგებელია, სინათლე?— ნათურები შევარდნაძის დროს რომ იყო, ისევ „კარალიოკივით“ ანათებს, თანაც როგორ ფასს გვახდევინებენ—გვითხრა კურორტზე ნაცნობმა ქალბატონმა და აქეთ დაგვისვა შეკითხვა:—თქვენ მართლა დაიჯერეთ ბახმარო აშენდაო?

მთა „შედრეკილის“ ქვემოთ, ველზე, სადაც უფრო „ელიტარული“ დასახლებებია, სწრაფი ტემპით შენდება 100-ადგილიანი კინოთეატრი და სამი კოტეჯი. გასული საუკუნის 90-იან წლებში საგზაო დეპარტამენტის მიერ აგებულ (არქიტექტორი მერაბ ჩხენკელი) სამსართულიან სასტუმროს შენობას აწესრიგებენ. (მშენებელი შპს „ფიროსმანი). გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია წყლის შემკრებ აუზზაც აშენებს. ნებისმიერი მშენებლობა კარგია, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ეს რაღაც სასწაული ხდება.

დამსვენებლები შეწუხებულნი არიან, რომ ისინი, ვისაც საკუთრება გაჩნდა, საგარაკო სახლის სახით და ელექტრონულად არ ჰქონდათ დარეგისტრირებული, საჯარო რეესტრი უარს ეუბნება გაფორმებაზე.

ბევრი სახლი დაშლილია და მათი მეპატრონეების მდგომარეობა უფრო მძიმეა. ამიტომ სვამენ ისინი კითხვებს:— ვისია ბახმარო? ვინ შეეძლება მომავალში აქ დასვენება? მარტო ნაცმოძრაობის ელიტას და მაღალხელფასიან საჯარო მოხელეებს? ამ კითხვებს ხელისუფლებამ საქმით უნდა გასცეს პასუხი.

რაც შეეხება ჩოხატაური-ბახმაროს გზას, წელს აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდება. ქვაბლა-ცხრაწყაროს 12 კილომეტრიან მონაკვეთს ტენდერში გამარჯვებული სუფსის საგზაო ასრულებს (სატენდერო თანხა 4 მილიონს შეადგენდა, სუფსელებმა 2,5 მილიონიანი სატენდერო წინადადება წარადგინეს). ცხრაწყაროს ზემოთ სამუშაოებს ოზურგეთის „გზამშენი 18“ ასრულებს(უფროსი თემურ ჯახვა, სამუშაოთა მწარმოებელი ტარიელ ნანიტაშვილი). მათ ჩვენი იქ ყოფნისას „საშვალას“ ტერიტორიაზე გზის ერთ-ერთ რთულ მონაკვეთს კაპიტალურად არემონტებდნენ. გარდა ამისა, გზის ცალკეული მონაკვეთებიც მოაასფალტეს.

კურორტ ბახმაროში, „ელიტარულ“ უბანში საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და რამდენიმე მაღალჩინოსნის მეუღლეებიც ისვენებს ეს კარგია, რადგან კურორტის პოპულარობაზე მიუთითებს, მაგრამ იქნება თუ არა კვლავ საყოველთაო კურორტი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დასვენების მიუხედავად ადამიანები აქაც პოლიტიკაზე ფიქრობენ და საუბრობენ, ნაციონალების ატრიბუტებთან ერთად, ინგოროყვას ქუჩაზე ერთ-ერთ ლამაზ კოტეჯზე „ქართული ოცნების“ დროშაცაა

„მინისტრმა მთელ გურიას ბოდიში უნდა მოუხადოს“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ოპოზიციონერმა **ლელა ნაცვალაძემ** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პრესკონფერენცია გამართა.

ნაცვალაძემ საქართველოს დასაქმების მინისტრის ოზურგეთში ვიზიტზე ისაუბრა.

— „დასაქმების მინისტრმა გურულებს უცოდინარები უწოდა. დასაქმების პრობლემა კი არ ყოფილა, სამსახური თურმე ურიცხვი არსებობს, მაგრამ გაუნათლებელი და უვიცი ხალხი ყოფილა გურიაში. მე მინდა მივმართო მას, როგორ არ შერცხვა გურულ კაცს და გურულებზე ასეთი შეფასება რომ გააკეთა. მივმართავ მას, მთელ გურიას ბოდიში მოუხადოს" — თქვა ნაცვალაძემ.

მან ისაუბრა ბოლო დროს შესამჩნევად გაზრდილ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზეც.

— „9 მილიონი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და გახდა 17 მილიონი, ამას ნაციონალური მოძრაობის ყულაბის შევსება ჰქვია."

ნაცვალაძის თქმით ბიუჯეტის ზრდა მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ელ-ჭექი
+22+28
9 აგვისტო
ხუთშაბათი

ელ-ჭექი
+22+26
10 აგვისტო
პარასკევი

ელ-ჭექი
+22+26
11 აგვისტო
შაბათი

ელ-ჭექი
+22+29
12 აგვისტო
კვირა

ელ-ჭექი
+24+31
13 აგვისტო
ორშაბათი

ძლიერი
წვიმა
18+24
14 აგვისტო
სამშაბათი

წვიმა
+19+25
15 აგვისტო
ოთხშაბათი

საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №44

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო საგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო საგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო საგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის);

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო საგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ) საარჩევნო საგიტაციო მასალების განთავსება („საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა საარჩევნო საგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია, გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

№	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბნის მისამართი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია საგიტაციო მასალების განთავსება
1	№60/01 ზვანი-1	ქ. ოზურგეთი	– კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი (სემინარიის წინ)
2	№60/02 ზვანი-2	ქ. ოზურგეთი	– სპორტის სასახლე - გარე განათების ბოძები – რაგბის სტადიონთან არსებული შენობა
3	№60/03 რ/ც\საავადმყოფო	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის (ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე) ღობე – ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები
4	№60/04 მოიდანეხე-1	ქ. ოზურგეთი	– კულტურისა და დასვენების ბაღის ღობე - გარე განათების ბოძები – ერისთავის ქუჩაზე მდებარე კედელი
5	№60/05 მოიდანახე-2	ქ. ოზურგეთი	– გარე განათების ბოძები
6	№60/06 ცენტრი-1	ქ. ოზურგეთი	- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღის (გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე) ღობე
7	№60/07 ცენტრი-2	ქ. ოზურგეთი	– სტადიონის ღობე (რუსთაველის და ფარნავაზ მეფის ქუჩები) - გარე განათების ბოძები – ყოფილი სარძევის შენობა
8	№60/08 ხერი	ქ. ოზურგეთი	– №2 საბავშვო ბაღის ღობე – გარე განათების ბოძები
9	№60/09 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	– აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები
10	№60/10 ექადია	ქ. ოზურგეთი	– თაყაიშვილის ქუჩაზე გარე განათების ბოძები
11	№60/11 ლაითური-1	დაბა ლაითური	– ბავშვთა ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელი – მინი მოედნების ღობე
12	№60/12 ლაითური-2	დაბა ლაითური	– სარიტუალო სახლი – ბავშვთა ბაღის ღობე – მგზავრთა მოსაცდელი
13	№60/13 ნარუჯა-1	დაბა ნარუჯა	- ყოფილი კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
14	№60/14 ურეკი	დაბა ურეკი	– კულტურის სახლი – გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორია
15	№60/15 წვერმაღალა	დაბა ურეკი	– გარე განათების ბოძები – მინი მოედანის ღობე
16	№60/16 ნასაკირალი	დაბა ნასაკირალი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
17	№60/17 ასკანა	ასკანის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – ბავშვთა ბაღის ღობე
18	№60/18 მზიანი	ასკანის თემი	– კლუბის შენობა – საბავშვო ბაღი
19	№60/19 ბაილეთი	ბაილეთის თემი	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელები 7 (შვიდი) ერთეული – მინი სტადიონები – გარე განათების ბოძები
20	№60/20 ბახვი	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი
21	№60/21 ქვედა ბახვი	ბახვის თემი	– სკვერის ღობე ცენტრში – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
22	№60/22 მშვიდობაური	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი
23	№60/23 ბოხვაური	ბოხვაურის თემი	– ყოფილი კლუბის შენობა – გარე განათების ბოძები
24	№60/24 გურიანთა	გურიანთის თემი	– ამბულატორიის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – მინი სტადიონის ღობე – გარე განათების ბოძები
25	№60/25 დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი სოფ. დვაბზუს ცენტრში – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
26	№60/26 გაღმა დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
27	№60/27 ვაკიჯვარი	ვაკიჯვრის თემი	– სოფელ ფამფალეთში მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში
28	№60/28 ფამფალეთი	ვაკიჯვრის თემი	– მინი მოედნები – გარე განათების ბოძები
29	№60/29 თხინვალი	სოფელი თხინვალი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი სტადიონი
30	№60/30 კონჭკათი	კონჭკათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორიის შენობა
31	№60/31 ლიხაური-1	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – მინი სტადიონი – გარე განათების ბოძები
32	№60/32 ლიხაური-2	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
33	№60/33 მაკვანეთი	მაკვანეთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში ჭალის უბანი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – კულტურის სახლი – ბავშვთა ბაღი
34	№60/34 მელექედური	სოფელი მელექედური	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – ბავშვთა ბაღი
35	№60/35 მერია	მერიის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 3 – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედანი
36	№60/36 ნაღობილევი	მერიის თემი	– ბავშვთა ბაღის შენობა – სპორტული მოედანი – მგზავრთა მოსაცდელი
37	№60/37 ხვარბეთი	მერიის თემი	– ყოფილი ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – კლუბი
38	№60/38 მთისპირი	მთისპირის თემი	– კულტურის სახლი – ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა
39	№60/39 ნაგომარი	ნაგომრის თემი	– კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – სტადიონის ღობე
			– გარე განათების ბოძები
40	№60/40 ქვ. ნატანები-1	ნატანების თემი	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინები
41	№60/41 ქვ. ნატანები-2	ნატანების თემი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
42	№60/42 ზ. ნატანები	ნატანების თემი	- საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
43	№60/43 სოფელი ოზურგეთი	სოფელი ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
44	№60/44 სილაური	სილაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
45	№60/45 შემოქმედი	შემოქმედის თემი	– სოფელი გომის კლუბი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
46	№60/46 გომი	შემოქმედის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
47	№60/47 წითელმთა	შემოქმედის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
48	№60/48 შრომა	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – სპორტული დარბაზი – სააფიშე დაფა – საყრდენი კედელი – გარე განათების ბოძები
49	№60/49 ხრიალეთი	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები - საბავშვო ბაღი
50	№60/50 ცხემლისხიდი	ცხემლისხიდის თემი	– ყოფილი კლუბის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი
51	№60/51 ბაღდადი	ცხემლისხიდის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი მოედანი
52	№60/52 ძიმითი	ძიმითის თემი	– საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – ადმინისტრაციული შენობის ეზოს ღობე – საბავშვო ბაღის ღობე – მინი სტადიონის ღობე
53	№60/53 ჭანიეთი	ჭანიეთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედნის ღობე
54	№60/54 ჯუმათი	ჯუმათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები

54	№60/54 ჯუმათი	ჯუმათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
55	№60/55 ცენტრი-3	ქ. ოზურგეთი	– სასტუმრო „გურია“ – ალმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
56	№60/56 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	- მგზავრთა მოსაცდელი - გარე განათების ბოძები
57	№60/57 ანასეული	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონი
58	№60/58 ნარუჯა-2	დაბა ნარუჯა	– ყოფილი კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღი
59	№60/59 ნასაკირალი-2	დაბა ნასაკირალი	– მგზავრთა მოსაცდელი – ბავშვთა ბაღი – მინი მოედანი
60	№60/60 გურიანთა-2	გურიანთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები
61	№60/61 ქვ. ნატანები-3	ნატანების თემი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
62	№60/62 შრომა-2	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება

ამ დღეებში, მედიასაშუალებებით „ქართულმა ოცნებამ" გაავრცელა რამდენიმე მცდარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა „ნაციონალური მოძრაობა“ სოფელ ნატანებში „ქართული ოცნების“ სახელით, ასევე პატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით ხელმოწერებს აგროვებდა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაცია უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საქმე გვაქვს „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციის მიზანმიმართულ მცდელობასთან.

მიგვაჩნია, რომ მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ვითომდა „ქართული ოცნების" სახელით „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების თაობაზე, სხვა არაფერია, თუ არა ოპოზიციური პარტიების შიდა დაპირისპირება, რომელიც საბოლოოდ „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ სცადეს გამოეყენებინათ, რაც სცდება როგორც ეთიკის, ისე კანონის ფარგლებს.

ქალბატონი მზია ბოლქვაძე დასაქმებულია აიპ-ში, სოფელ გაღმა-დვაბზუს ბაღში აღმზრდელად. იგი არასდროს ყოფილა ნაციონალური მოძრაობის არათუ აქტივისტი, არამედ მხარდამჭერიც კი. და როგორც ირკვევა, აგროვებდა ხელმოწერებს პოლიტიკური გაერთიანება „გამარჯვებული საქართველოსთვის" (მინდია გულუას პარტია), რათა ამ პარტიას მონაწილეობა მიეღო საპარლამენტო არჩევნებში და დარეგისტრირებულიყო კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად.

შეშფოთებას იწვევს „ქართული ოცნების" აქტივისტის, ვინმე ბატონ ტიტე ბაქანიძის საქციელი, რომელმაც პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისათვის, მუქარითა და დაშინებით (მზია ბოლქვაძე ადასტურებს როგორც წერილობით, ისე ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გაკეთებულ აუდიო- ჩანაწერში, რომ ის ტიროდა, მასზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ემუქრებოდნენ დაჭერით, სამსახურიდან გაგდებით და სიტყვასიტყვით უკარნახეს ის ტექსტი, რაც შემდგომში მისი სახელით გავრცელდა), აიძულა ქალბატონი მზია დაეწერა ე.წ. აღიარებითი ხელწერილი. უფრო სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ შემდგომში „ქართულმა ოცნებამ" და მისმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზვიად კვაჭანტირაძემ, სრულიად დაუსაბუთებლად ხელი შეუწყვეს ყალბი ინფორმაციის გავრცელებას, თითქოს ზემოაღნიშნული ხელმოწერები „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გროვდებოდა. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, კოალიციის ადგილობრივმა ლიდერებმა კარგად იცოდნენ (ამას ადასტურებს მზია ბოლქვაძის მეუღლეც, რომელმაც პირადად ჩააყენა საქმის კურსში ისინი), რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ამ შემთხვევას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

რაც შეეხება ე.წ. პატიმრების თემას. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ პატიმრების ვადამდე გათავისუფლება ეს არის კანონით მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურა, რომლის საფუძველზეც მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტია უფლებამოსილი გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტი. ნაციონალურ მოძრაობას კი, ისევე როგორც სხვა პოლიტიკურ ძალას, არ გააჩნია შესაბამისი ბერკეტები. გარდა ამისა, „ქართული ოცნების" მიერ გავრცელებულ განცხადებაში დასახელებული ნატანებელი პიროვნება - ხათუნა გოგუაძე – არა თუ პარტიაში, არამედ „ნაციონალური მოძრაობის " მხარდამჭერებშიც კი არ არის.

კოალიციას „ქართული ოცნება“ და მის აქტივისტებს შევახსენებთ, რომ მუქარა და ზეწოლის გზით ინფორმაციის მოპოვება სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. მსგავს ქმედებებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უფლებას იტოვებს მიმართოს პროკურატურას. ასევე მოვუწოდებთ მათ მეტი პასუხისმგებლობა და კვალიფიციურობა გამოიჩინონ მსგავსი ტიპის განცხადებების ტირაჟირებისას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის პრეზიდენტი

ბაღის პედაგოგები სამსახურებიდან დაითხოვეს

საკრებულოს დეპუტატის, ოპოზიციონერი ლელა ნაცვალაძის განცხადებით, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების 20 პედაგოგი პოლიტიკური ნიშნით სამსახრიდან გათავისუფლებულია.

–„აღნიშნული პედაგოგები ესწრებოდა ივანიშვილის შეკრებას ოზურგეთში, არიან ოპოზიციურო განწყობის, ამის გამო დღეს შეუწყდათ ხელშეკრულება"–-ეს განცხადება ნაცვალაძემ ჟურნალისტებთან დღეს საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ განცხადების გაკეთება დეპუტატს საკრებულოს სხდომაზე უნდოდა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა, მიუხედავად ნაცვალაძის თხოვნისა განცხადება მოესმინა, სხდომათა დარბაზი მაინც დატოვა.

–„მინდოდა ალეკოს მოესმინა ჩემთვის, რადგან განთავისუფლების ბრძანებას ის აწერს ხელს, მაგრამ არ მომისმინა, მიხვდა რაც უნდა მეთქვა“– განაცხადა ნაცვალაძემ.

პირველი გასტროლი მეოთხედი საუკუნის შემდეგ

მარი კოძოევი

31 ივლისს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 144-ე თეატრალური სეზონი დაასრულა. სეზონი დაიხურა სპექტაკლით „მეფე ლირი თავშესაფარში".

უკვე გასულ სეზონზე ორი პრემიერა, სულ კი 32 სპექტაკლი გათამაშდა. ჩატარდა მსახიობ ვერიკო ხუხუნაიშვილისა და რეჟისორ ოთარ კუტალაძის ბენეფისი.

სეზონის განსაკუთრებული მოვლენა იყო თეატრის წინ მსახიობების-გაბრიელ მდინარაძის, მარიამ ქადეიშვილისა და რეჟისორ, ვასილ ჩიგოვიძის სახელობის ვარსკვლავების გახსნა.

სეზონის მიწურულს, ივლისის ბოლოს თეატრი გასტროლით იმყოფებოდა ზუგდიდში. ოზურგეთელებმა ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე სამი სპექტაკლი ითამაშეს. ო.კუტალაძე, ო. ბალათურია „მეფე ლირი თავშესაფარში", ო კუტალაძე, გ. ბათიაშვილი „ლალი, სიყვარული და სხვები", შ. ბაბილოძე შ. დადიანი „გუშინდელნი".

ოზურგეთის თეატრის მმართველის, ზაზა ჯინჭარაძის გადაწყვეტილებით გასტროლი ზუგდიდის თეატრის ტრაგიკულად დაღუპული ნიჭიერი მსახიობისა და შემოქმედის, გიორგი ფოჩხუას ხსოვნას მიეძღვნა. გასტროლი წარმატებული გამოვიდა. მასპინძლებმა გიორგი ფოჩხუას სახელობის პრიზით საუკეთესო თამაშისა და უმძორისტული როლისთვის დაჯილდოვეს მარგო ავაქიანი, როლისათვის ქეთი ბებო („მეფე ლირი თავშესაფარში").

ზაზა ჯინჭარაძე: – „საგანგებოდ ვემზადებოდით ამ გასტროლისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი ოცნება, რადგანაც გასტროლზე არ ვყოფილვართ 1989 წლის შემდეგ. მას შემდეგ 23 წელი გავიდა. არადა ჩვენ ხშირად ვცვლიდით „მოედნებს" სხვადასხვა რეგიონში. ეს იყოს განვითარების, დამეგობრების შესანიშნავი საშუალება.

გიორგი ფოჩხუას დაღუპვამ, რომელიც არის დიდი დანაკლისი საქართველოსთვის, სხვა ელფერი მისცა ჩვენს გასტროლს. ვფიქრობდით საერთოდ გადაგვედო წასვლა. ზუგდიდშიც შიშობდნენ, რომ საზოგადოებას ცუდად არ გაეგო ამხელა დანაკლისის და უბედურების მერე ზუგდიდის თეატრში გამართული სპექტაკლები. კიდევ ერთხელ ვუთანაგრძნობ მის ახლობლებს. გიორგი დიდი სიხარულით გველოდა და თავად იყო ინიციატორი, რომ ზუგდიდელებიც გვწვეოდა ოზურგეთში.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ზუგდიდს, მაყურებლებს იმ დიდი სიხარულისა და სიყვარულისათვის, რაც დარბაზიდან მოდიოდა, რასაც ქუჩაშიც ვგრძნობდით".

შეხვედრა ჟურნალისტებთან

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტის „მე და ჩემი პროფესია“ ფარგლებში პირველი შეხვედრა ჟურნალისტებთან მოეწყო.

პროექტი განხორციელდა ოზურგეთის კულტურის სამსახურისა და კულტურის ცენტრის მხარდამჭერით. იდეის ავტორი და ორგანიზატორი მანანა ქილიფთარი.

წარმოდგენილი იყო ბეჭდური სისტემის ისტორია გურიაში, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გაზეთ „ლენინის დროშას“ უკავშირდება. მიმოიხილეს გაზეთის მოკლე ისტორია და ვიდეო და ფოტოკოლაჟის მეშვეობით აჩვენეს იმ ჟურნალისტთა ფოტოები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე რედაქტორობდნენ ან თანამშრომლობდნენ ამ გაზეთთან.

დასახელდა მომდევნო გამოცემები და ტელეკომპანია „გურიას“ მოკლე ისტორია.

ფასიანი საჩუქრები გადაეცათ გაზეთ „ალიონის,“ „გურია ნიუსის,“, „გურიის მოამბის,“ ტელეკომპანია „გურიას“ რედაქციებს და ჟურნალისტებს გულსუნდა მახარაძეს, თემურ მარშანიშვილს, თეა იოსელიანს. საჩუქრები გადაეცათ პროექტ „ავტორის“ გამარჯვებულ სამ მონაწილეს ირაკლი ბებურიშვილს, ლია გოგუაძეს, დათა ხარაიშვილს.

****

ამირან მამულაიშვილი –80

–ეს არის შეხვედრა ჩვენს საერთო მეგობართან, ჩვენი გაზეთის დიდ გულშემატკივართან და თანამშრომელთან ამირან მამულაიშვილთან. იგი ერთადერთი ჟურნალისტია, ასეთი დიდი სტაჟის მქონე, რომელიც დღესაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას. 60 წელია სოფელ ბაილეთის სახელი გამოქვს გურიის ასპარეზზე,“ –აღნიშნა გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა ამირან მამულაიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეხვედრაზე, რომელიც გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში გაიმართა. მანვე ისაუბრა ამირან მამულაიშვილის განვლილ გზასა და მოღვაწეობაზე.

—„1979 წლიდან ვიცნობ ბატონ ამირანს. მას კალამიც კარგად უჭრის, კარგი სიმღერაც ეხერხება, ლექსების წერაც და კარგი მეურნეცაა. გამოცემული აქვს ლექსების კრებული.“

იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს თანაკლასელებმა და მეგობრებმა აკადემიკოსმა არსენ კეჭაყმაძემ, ვალერიან ჩანჩიბაძემ.

პოეტმა ნოდარ დონაძემ საკუთარი ლექსით მიულოცა იუბილე, ხოლო მისმა შვილიშვილმა –ნოდიკომ ხალხური სიმღერები მიუძღვნა იუბილარს.

შეხვედრის ბოლოს ბ-ნმა ამირანმა საკუთარი ლექსები წაიკითხა.

***

„შენი სოფლის სიყვარულით
სანთელივით დნები, იწვი,
ყველა გიცნობს, ყველამ იცის
ხარ ჯავარი ცის დამ იწის.
შრომით და გარჯით ხალხს, სოფელს
თქვენსავით ყველა შეადნეს,
ხარ სოფლის ჭირისუფალი
და მათი სუნთქვის მეამდნე.“

ნოდარ დონაძე

თენგიზ მჭავია



დღეს შენი დაბადების დღეა თენგუშკა!

უკვე მესამე წელია, რაც ჩვენგან წახვედი. 57 წლის გახდებოდი...

უშენოდ განვლილმა დრომ ოდნავადაც ვერ შეგვიმსუბუქა განუზომელი მწუხარება...

საშინელი ნოსტალგია გვტანჯავს, მონატრება, მოგონებები გვიღრნის გულს.

იმედი იმისა, რომ იმ ქვეყნად შევხვდებით – მოუთმენელი ხდება.

შენი **დედიკო და დეიდა.**
7 აგვისტო, 2012წ.

მძლეოსნური გარბენი

საქართველოს სპორტის სამინისტროს ეგიდით, ქ. ოზურგეთში მძლეოსნური გარბენი ჩატარდა. მასში 50-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ვაჟებში ნიკა კარტაცევმა დაიკავა I ადგილი. II-III ადგილებზე შოთა და ნიკა ზოიძეები გავიდნენ.

გოგონებში ანა მუჯირმა გაიმარჯვა. II-III ადგილებზე მარი და ნუკა კაპელიანები გავიდნენ.

აღნიშნული გარბენი საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა.

ჟანი კალანდაძის ტურნირი „ერთობამ“ მოიგო

ერთ კვირას მიმდინარეობდა ჟანი კალანდაძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ოზურგეთის „ერთობამ“ ლიხაურის გუნდს 3:2 სძლია და ტურნირის თასს დაეუფლა.

გელა ჯანელიძის სახელობის ტურნირზე

ამა წლის 25-27 ივლისს ქალაქ ბათუმსში ჩატარდა გელა ჯანელიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის ჯგუფები. **ზურაბ და ირაკლი ზურაბიანების** და **დავით მელუას** აღსაზრდელებმა დაიკავეს შემდეგი ადგილები.

29კგ. წონით კატეგორიაში ვანო თოხაძე პირელი იყო, მესამე გიორგი თოხაძე.

35 კგ გიორგი ჩხაიძე მე-346კგ. დათო ჩხარტიშვილი პირველი. 50კგ. იური ლომაძე მესამე. 54კგ. გიორგი გუჯაბიძე მესამე. 76კგ. ვასილ თავბერიძე პირველი.

გურამ მაჭარაშვილის ჯგუფი:

35კგ. შოთა სარალიძე მესამე.50 კგ. კახა ირემაძე პირველი. 50კგ. მამუკა ერაძე მესამე. 69კგ. ლადო ქინქლაძე მეორე.

ლიხაურის ფილიალი. მწვრთნელ **ალიკა ბოლქვაძის** აღსაზრდელები:

38კგ. რობიკო ლომინაძე მესამე,46 კგ. ვაჟა გოთუა მესამე.54კგ. ლევან ქავჯარაძე პირველი. 63 კგ. ბორის ტუღუში მეორე.

თენგის მუჯირის ჯგუფუდან:

76 კგ ალექსი ლოდია მესამე ადგილი.

ვეღოსავთ!

ხელმწიფეს ნოღაიფის, ნიკოლოზ ჭყონიას მოსიფოლს, ნოღაფის ღოინაძეს „ოკრიოს“ ღაბაღიების ღოლს _7 წლის შეხვედრიღებს!

მამის და ბაბუის მეგობრები.

სიახლე ავტომობილის მფლობელთათვის!

ქ. ოზურგეთში, სამგზავრო ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ავტოსამრეცხაო სრული მომსახურების პაკეტით (ქიმწმენდა, რეცხვა, დისკების ქიმიური დამუშავება) გერმანული ხსნარებითა და დანადგარებით. სამრაცხაო მუშაობს 08 საათიდან 20 საათამდე.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, სანაპიროს ქ. №1;
ტელ: (557) 53 92 07.

იყიდება

ავტომანქანა „ვაз-2001,“ (1979 წლის გამოშვება, მუშა მდგომარეობაში).
მისამართი: ქ. ოზურგეთი (ანასეული) უნივერსიტეტის ქ.№12 (ბინა 22)
დაგვიკავშირდით: (599) 73 31 32.

სერგო (სეგუნა) ჩიტაიშვილი

სიკვდილი ბრმაა. მიდის და მოდის საწუთროს შარაზე. კაცს სიდიადეს არად დაგიდევს, შემოგეყრება გზაზე და სულში ღიად დარჩენილ ფანჯრებს ჩაგიმტვრევს. სიკვდილი ცივია, უხმო და უთქმელი, არაფერს დაგიდევს... მას სულ არ ადარდებს, სიცოცხლეს ამდენ სატკივარს რომ ანიჭებს. სიკვდილი ბრმაა..." ამიტომ ვერ დაინახა შენი სიდიადე, ბრმად აგირჩია ასე უსამართლოდ, უდროოდ...

ყველგან გეძებ თვალებითსეგუ, შენი ღიმილიანი სახე წამომელანდება-ხოლმე, თითქოს ხმაც მესმის, შენს ნომერს ვკრეფ ტელეფონზე და სისხლი მეყინება... ნომერს ვერ ვიმეტებ ამოსაშლელად და შენ როგორ გაგიმეტო? აუტანელი, მტანჯველი სიცარიელე მიპყრობს... ეს დღეები სხვა ვერაფერზე ვფიქრობ, როგორ დაუშვა ღმერთმა, რომ ეს ტრაგედია მომხდარიყო?.. რატომ?..

იქნებ უფალმა უფრო დიდი განსაცდელისაგან გიხსნა?.. ვინ ჩასწვდომია განგებას ღვთისას?!

რა უმწეოები და უსუსურები ვართ სეგუნა, შენი უიღბლობით შეძრულები... წამით რომ მაინც გეგრძნო საფრთხე, არც თავს გაიმეტებდი და არც ჩვენ გაგვწირავდი. დრო გაჩერდა თითქოს, რეალობის აღქმა დავკარგეთ... მარტო იმას ვგრძნობთ, რომ უშენობა სასჯელია, მძიმე და უსამართლო.

ვერ ვაცნობიერებ, როგორ გადაგძალა სიკვდილმა ასეთი სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი-ბავშვის ალალი გულით, ლაღი იუმორით, სპეტაკი სულის, ერთგული, უანგარო,კეთილი, მუდამ სხვებზე მზრუნველი... მოყვასისთვის არაფერს იშურებდი, საკუთარი თავისათვის კი ძნელად თუ რამე გემეტებოდა... რამდენი სიკეთე და სიხარული დაიკელი და რამდენი დაგაკლდა...

შენ მიერ მართლად განვლილი გზა, გაცემული სითბო და სიყვარულია საზღაური იმისა, რომ კვლავ ჩვენთან გიგულოთ. შენ მარტო თვალსაწიერს გასცდი, მაგრამ მუდამ ჩვენს გულსაწიერზე იქნები, რამეთუ ცოდვილნი ცოცხლებიც კი მკვდარნი არიან, მართალნი კი ცოცხლები არიან მაშინაც, როცა კვდებიან.

არის კი ეს საკმარისი ნუგეში მშობლებისათვის, რომლებმაც ერთადერთი პირმშო დაკარგეს, მეუღლისათვის, შენი ნებიერა შვილისათვის, ჩვენთვის, ასე რომ გვეიმედებოდი და გვეამყებოდი?!.

სულის ძახილი, ნეტარი ავგუსტინეს მიერ გაცხადებული, ბევრისათვის ნუგეშია. იქნებ ჩვენც სულ ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქოს მწარე რეალობა...

ნუ ტირი თუ მართლა გიყვარვარ!
სიკვდილი არა არის რა!
- მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი!
- მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ!
- ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გისაუბრია!
- ნუ დამელაპარაკები სხვა კილოთი!
- გაიცინე, რაზეც გვეცინებოდა!
- ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე!
- რატომ გგონივარ შენი ფიქრების გარეთ? - იმიტომ, რომ შენი თვალსაწიერის გარეთ ვარ?
- მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ!
- ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!..
- თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი?!
- თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზებს შორის დამინახო?!..
- როგორ? თუკი საწუთროში, აჩრდილთა საუფლოში, მხედავდი და გიყვარდი, წარუვალ სიცხადეთა საუფლოში ვეღარ უნდა მხედავდე და გიყვარდე?!.
- გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა,
- როცა ერთ დღესაც - მხოლოდ ღვთისთვის ცნობილ და ღვთისგან დადგენილ დღეს - შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო, იმ დღეს კვლავ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ უყვარხარ! . .

გვაპატიე, რომ ვერ მოგიფრთხილდით, ვერ დაგიფარეთ, ვერ გიშველეთ...

როგორ გვივსებდი და გვილამაზებდი ცხოვრებას...როგორ გვეიმედებოდი

როგორ გვენანები, გვენაღვლები, გვებრალები....

როგორ გვიყვარხარ, გვიყვარხარ სეგუნა და ტკივილამდე გვენატრები...

მაი

შპს „მთისპირი 2010“ აცხადებს ვაკანსიას ოფის-მენეჯერის თანამდებობაზე

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება–უმაღლესი;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება;

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;

საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობის და კონფიდენციალობის დაცვის უნარი;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე:

(599) 78 78 66; (551) 10 10 04;

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 16 აგვისტო, 2012 წელი.

შპს „მთისპირი 2012“ დირექცია

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru